№ 41.

# ივერია

წელიწადი პირველი

8 დეკემბ. 1877 წ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გამოდის ხუთშაბათობით

ხელის მოწერა: ტფილისს, „ივერიის“ რედაქციაში, მთაწმინდის ქუჩაზე, შიოევის სახლების ზემოდ. № 5
ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

გაზეთი **ივერია** გამოვა **1878** წელს იმავე სახით, იმავე პროგრამმით და ისევ კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით.

ფასი ერთის წლისა, გაგზავნით თუ გაუგზავნელად, შვიდი მანეთია.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, «ივერიის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება მთაწმინდის ქუჩაზედ, შიოევის სახლების ზემოდ, ქანანოვის სახლში, სახლი **№ 5.**

ქუთაისში ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა შეუძლიანთ დაიბარონ გაზეთი «ივერია» ამ ადრესით: **Въ Тифлисъ, въ редакцію газеты ИВЕРІЯ.**

**შინაარსი** I. საქართველოს მატიანე: გორის საოსტატო სემინარია—თელავი—გაზეთი—სხვა და სხვა ამბავი—გაკვრით.—II. ომის ამბები.—III საპოლიტიკო მიმოხილვა: —საფრანგეთი—ინგლისი—გერმანია—ოსმალეთი—ავსტრია და ვენგრია.—IV. მუშა ხალხის მოძრაობა დასავლეთ ევროპაში და მისგამო ფიქრი ჩვენს ხალხზედ.—V. პროვინციის მეთვალყურეს შენიშვნები.—VI. წერილები ივერიის რედაქციისადმი.—VII განცხადება.

## საქართველოს მატიანე

(„ივერიის“ კორრესპონდენციები.)

**გორის საოსტატო სემინარია.** ვინ არ იცის რომ ქართველები და ერთობ საქართველო შორს ჩამორჩა განათლებას და სწავლას. ესეც ვიცით, რომ საქართველოში ცოტა თუ ბევრი სასოფლო შკოლებია, რომელთაც აზრად აქვსთ ხალხს განათლების გზაზედ ცოტათი მაინც ბიჯი წინ გადაადგმევინონ. ჩვენდა სამწუხაროდ ეს უნდა ვჴსთქვა, რომ შკოლები კი გაამრავლეს, მაგრამ ოსტატების შოვნა გაჭირდა, რადგანაც ამ საგანზედ მეტად ხელნაკლებნივართ. იყვნენ და არიან, რასაკვირველია, ოსტატები, მაგრამ უმრავლესი მათგანი მარტო ჯამაგირს მიეზიდებოდა და მოვალეობის აღსრულებას კი ბევრს არას დასდევდა. ამ ნაკლის შესავსებლად განათლების მზრუნველთა გამართეს საოსტატო სემინარიები, სადაც ყმაწვილნი კაცნი უნდა მომზადდნენ სოფლის შკოლის ოსტატებათ. ამ აზრით სხვათა შორის ქ. გორშიაც გამართეს საოსტატო სემინარია.

ამ სემინარიაში დირეკტორად არის უფ. დივარი, რომელიც ზრუნავს, რომ ამ შკოლაში სწავლას ფესვი გაუდგას. ეს მზრუნველობა იქნება მედგარიც იყოს, მაგრამ საქმე ის არის, არ იციან როგორ და რა გზით თავი-თავს მოიყვანონ.

აი რა ამბებია ამ სემინარიაში. მე დამარწმუნეს, რომ აქ ყმაწვილები, სახელმწიფო ხარჯზედ მიღებულნი, ისე იკვებებიან, რომ არა ვინ იცის რას ჭსჭამენ და რას ჭსმენ. ამ საგანზედ ყურადღება არ არის მიქცეული. ამ შკოლის გამგებელი სასადილო ოთახში ძალიან იშვიათად შევა ხოლმე. მისცემენ თურმე ფულს მზვარეულს და ეტყვიან სადილად გააკეთე რამე და მერე თავს დაანებებენ და ვინ იცის მზვარეული რას აჭმევს და რას არა. მზვარეულიც ხორცს იყიდის თურმე, მოხარშავს რასმეს წვნიანს, ზედ მიართმევს ცოტაოდენს ქართულს პურს და ხანდისხან ფაფას (ქაშს) და თითო ბეწო კერძს დაუდგმენ შეგირდებს. შეგირდები ნახევარზედ მშივრები არიანო....

ყმაწვილები ამბობენ, ნეტავი იმას ვისაც თავისი ფულები აქვსო. იმას რა უჭირსო! გაგზავნის, იყიდის პურსა, მიჯდება საიდუმლოდ კუთხეში სადმე, მიემალება მშიერს ამხანაგებს და რაც შეუძლიან სხაპასხუპითა ჰსჭამს, ვითომ ამხანაგი ვინმე ჩემსავით მშიერი არ მომესწროსო და არ გამიზიაროს პურიო. ვაი იმას ვისაც ფული არა აქვს! ის ან მშიერი უნდა დარჩეს თურმე, ან ვალი აიღოს ამხანაგთაგან და ისე გამოიკვებოს თავი.

ერთს დამშეულს შეგირდს ვკითხე, რატომ არ შეატყობინებთ ზედამხედველს მეთქი. იმან მიპასუხა: შარშან შევატყობინეთ, მაგრამ ყურადღება არ მიაქციაო; პასუხად გვითხრაო,—ვისაც არ მოჰსწონს აქ ყოფნა, გაბძანდეს, დამითხოვნიაო.

ამას გარდა აქ არის ერთი მასწავლებელი სხვა და სხვა საგნებისა, რომელსაც უჩივიან შეგირდები და რომლისაგანაც ყმაწვილები დაჩაგრულნი არიან. რაღა დაჩაგვრა უნდა შიმშილისაგან კუჭ-გამხმარ შეგირდებს.

იგი მასწავლებელი გახლავთ ნამდვილი იმ წესისა და დროს მიმდევარი, როდესაც სუფევდა ნერგის წკეპლა, ლაზათიანი სილა და დედ-მამის გინება. მეტად ფიცხი კაციც არის თურმე ამასთან. როცა გაფიცხდება, მიჰსდგება თურმე და ასე შეაქცევს თავის დროებით შვილებს: თქვე ღორებო, ვირებო, პადლეცებო, კავკასიელები სულ ღორ-ვირები ხართო და სხვა ამ გვარები. გარე-შეგირდებს თურმე ქურდებს, ავაზაკებს ეძახის და სადილს შემდეგ შკოლაში არ უშვებს. ერთხელ დიდის დარიგების მაგივრად ერთის ყმაწვილკაცისათვის მამა შეუკურთხებია.

მართალია, თუ არა ესე ყოველი—მაინც და მაინც ყურადღების ღირსია იმიტომ-რომ ამ გვარი ხმები დადის და სახელს უხდენს თვითონ სასწავლებელს. საჭიროა, ვისაც უფლება აქვს, ამ საგანს ყურადღება მიაქციოს და თუ ყოველივე ესე დამტკიცდა, ჯეროვანი განკარგულება მოახდინოს. მე ესე ყოველი გაცნობეთ, იმისთვის კი არა, რომ გაკიცხვა ვისიმე მინდოდეს, მე მარტო მსურს იცოდეს მან, „ვისიც ჯერ არს“ რა ხმები დადის გორის სემინარიაზედ და თუ მოსავლელია რამ, მოუაროს.

ლაჯღებაშვილი.

---

თელავი 28 გიორგობისთვეს. ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლდა და ისიც მიემატაო.“ სწორეთ ასე მოუვიდა ჩვენს თელავს! ქურდობა და ავაზაკობა თელავში სრულებით არ იყო და ესეც გაჩნდა. ეს ორი კვირაა, რაც თითქმის ყოველ ღამე ხან სახლებს და ხან დუქნებს ჰსტეხენ. ვინ არის ყურის მგდებელი!? პოლიცია აქ არ ეტყობა და... აქაური პოლიცია პრისტავი და მისი თანაშემწე, რომელიც თითო თვეობით თავის სახლში (კონდოლში) ბრძანდება, და სამი-ოთხი დესეტნიკი; მაგრამ ამათი აქ ყოფნა თელავის კეთილ-განწყობილებას არ ეტყობა. ვინ არის ამაში დამნაშავე?—გამოიცნოს თვითონ მკითხველმა და იმან ვისიც ვალია....

X

კახეთი. კახეთმა ძალიან გულმოდგინეობა გამოიჩინა შკოლების გახსნაში. ყოველის სოფლის ხალხი კახეთის გულმხურვალედ მიეგება სასოფლო შკოლების დირექტორის (რომელიც ეხლა აქ იყო) წინადადებას, რომ ზოგიერთ სოფლებში შკოლები გაემართნათ. დირექტორს უნდოდა, რომ ორ-ორ სოფელში თითო შკოლა ყოფილიყო, სანახევროდ, მაგრამ აქ სოფლებმა უფრო გულმოდგინედ და მხურვალე თანაგრძნობა გამოაცხადეს: თითქო ეწყინათო, რომ როგორ გაგვიბედეთო, რომ ორმა სოფელმა ერთი შკოლა გავხსნათო და გამოაცხადეს, რომ თითო სოფელში თითო შკოლას შევინახამთო. დირექტორს უნდოდა, რომ კონდოლში და კისისხევში ერთი შკოლა გაეხსნათ სანახევროდ, ახატელში და რუისპირში ერთი, მაგრამ ამ სოფლებმა იკისრეს თითო შკოლის შენახვა ოთხივე სოფელში. ჯამაგირებიც კარგად საკმაო დაასწესეს: 300 მ. და მეტიც, შკოლის კუთვნილების ხარჯის გარდა. ღმერთმა ინებოს, რომ ქართველებში უფრო გულმხურვალეობა გამოჩნდეს სწავლისადმი! ეხლა ჩვენ ამას ვიტყვით, რომ თუ ამ ახალის შკოლების მასწავლებლებათ ხალხის გულ-შემატკივარი და თანამგრძნობელი ახალ-გაზდები დანიშნეს—საქმე კარგად წავა.

ტაროსები ცუდია კახეთში. ისეთი სიცივეა რომ დილით კაცი თუ კარგად არ გაეხვია თბილ ტანისამოსში—ვერ გამოვა გარედ. ლეკების მხრით შიში

სრულებით აღარ არის. ჯარებიც, რომლებიც გაღმა მხარში იდგნენ—დაითხოვეს, ზოგის გარდა.

—

ძლივს ეღირსათ კახელებს თავისუფლად ამოსუნთქვა. ლეკები დაამშვიდეს, იმათი „იმამიც“ დაჭირეს. ამ ერთ კვირაში ს. ყვარელში მომიხდა ყოფნა და იქ შევიტყე რამოდენიმე ღირსსაცნობი ამბები. დაღისტანში ლეკები დაუმშვიდებიათ, და ამ დამშვიდებაში დიდი მონაწილეობა მიუღია მისს იმპერატორებითის უდიდესობის სვიტის ღენერალ-მაიორს, განჯის ღუბერნატორს თ. ნ. ჭავჭავაძეს. კახეთში (გაღმა მხარში) კაპუჭელები და დიდოელებიც ჩამოვიდნენ ბლომად თავის ცოლ-შვილით და ბარგი-ბარხანით. ესენი ამბობენ, თუ გინდა დაგვხოცეთ და თუ გინდა არაო და თოფ-იარაღსაც აბარებენ სოფლის და „დროებითის მილიციის“ უფროსებს. მე მითხრეს, რომ გაგაზელებმა შესჩივლეს გ. ჯორჯაძეს, რომ ზოგიერთი ლეკები იარაღით დადიანო. ვითომც გ. ჯორჯაძეს მოეხდინოს განკარგულება, რომლის ძალითაც ქართველებს—კახეთის ხალხს უფლება აქვს, რომ იარაღი ჩამოართვან ყველა ლეკს, და თუ გაუძალიანდებიან—დახოცონ. დაღისტანში, როგორცა გსთქვი, „იმამი“ და მასთანავე 250 მოთავე აჯანყებისა და 16 ნაიბი „იმამისაგან“ დაყენებული, დაუჭერიათ. იმამს თურმე ჰკითხეს: რათ ააჯანყე ხალხიო? მან მიუგო თურმე: „ღვთის ნება იყოსო!“ ლეკებს ვითომ წმინდა კაცათ მიაჩნდათ იმამი და ყველა დაჯერებული იყო, რომ მათი ახალი (წინად შამილი იყო) იმამი სამ დღეს მიდის და მოდის ქაბაშიო (მექაში, სადაც ასაფლავია მაჰმადი).

საქონლის ჭირი თითქმის მოისპო სრულებით; მაგრამ საუბედუროდ ყვავილმა გააწყო ხალხი, მომეტებულ ნაწილად ს. საბუეში, სადაც ზოგ-ოჯახიდამ ერთი კვირის განმავლობაში სამა და ოთხი მცხედარი გამოჰქონდათ. სად არის მშველელი!? ცივიდამ თუმცა თოვლი დაჰყურებს კახეთს, მაგრამ ჯერ კახეთში ვერა ჰბედავს მოსვლას. თუმცა თოვლი არ არის, მაგრამ ძრიელ ცივა. გაღმა სოფლებში კიდევ ჯერ არ გაუთავებიათ ხვნა-თესვა, არეულობის გამო დროებით მილიციები კახეთში ჯერ არ მოშლილან, გარდა თიონეთისა, იქ კი დაითხოვეს და დაშალეს. ღვინო ძალიან დაძვირდა, მაგრამ თელაველები მაინც არ იძლიან ღვინის სმას. ნეტავი თელაველებს, რომ ამისთანა ლაფებში დასეირნობენ!..

ქართველი.

—

—ჩვენ შევიტყეთ, რომ ტფილისში აპირობენ ამ მოკლე ხანში დაბეჭდას თ. ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსებისას და სხვას მის თხზულებისას; შეუგროვებიათ კიდეც რაც შესაძლო იყო, მისი წვრილი ლექსები და მისი ნაწერები. ორ წიგნად გამოვა მისი თხზულება, ერთში, რომელიც წინ დაიბეჭდება, იქნება წვრილი ლექსები და მეორე წიგნში მისი ნათარგმნი ტრაგედიები. დამბეჭდავთ სურვილი აქვთ ჩაურთონ პირველს წიგნს თ. ალექსანდრე ჭავჭავაძის სახე-სურათი და ბიოგრაფია, თუ ამ უკანასკნელისათვის საჭირო ცნობების შეკრება შესაძლო იქმნება. დამბეჭდავნი ჰსთხოვენ საზოგადოებას რომ თუ ვისმეს, შინ ანუ გარედ, ეგულება თ. ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსი, თხზულება, ან რამე ცნობა მისის ცხოვრების შესახებ აცნობოს „ივერიის“ რედაქციას, რომელიც ყოველს ამას მადლობით მიიღებს და გადასცემს დამბეჭდავებს.

—4 ნოემბერს ტფილისის თავად-აზნაურთა ბანკში შეიყარნენ წევრნი-დამდგენელნი საზოგადოებისა შეუძლებელთ მოსწავლეთა შეწევნისათვის. შეიყარა 25 კაცამდე. წაკითხულ იქმნა ამა საზოგადოების წესდება. წესდება მიიღო კრებამ ერთხმად და გადასწყვიტა ეგ წესდება მიერთოს გუბერნიის მარშალს, რათა მან წარუდგინოს მთავრობას დასამტკიცებლად. ჩვენ შევიტყეთ, რომ ორას კაცამდე გამოაცხადეს სურვილი ამ საზოგადოებაში წევრად შემოსვლისა.

—სოფელს ჩუმლაყში (სიღნაღის მაზრაშია) გლეხთა მოუნდომებიათ, რომ შიგნით სოფელში იმ ოღრო-ჩოღრო გზების მაგივრად, რომელიც ეხლა არის, გზა-ტკეცილი (შოსსე) გაიყვანონ თავისის საკუთარის ხარჯითა. მხოლოდ დაბრკოლება იმაშია, რომ ვერას გზით ვერ მოუსერხებიათ მთავრობას გამოჰსთხოვონ „კონდუკტორი“ გზის ლარის გასატანად და თვით გზის კეთების მასწავლებლად. გარდა ამისა ეს სოფელი ძალიან მოწადინებულია თურმე საამხანაგო ბანკისა და შკოლის გამართვისათვის. თუმცა ამ სამივე სასარგებლო საქმის

წადილი დიდის ხალხში, მაგრამ საწყალს გლეხებს ვერას გზით ვერ მოუხერხებიათ მის ასრულება: მეთაური არ ჰყავთ თურმე, რომ ამ წადილს ხელი ჩასჭიდოს და საქმე საქმეზედ მოიყვანოს. ამბობენ, რომ ერთს იქაურს თავადიშვილს უკისრნია გლეხთა შემწეობა და ხელის შეწყობა ამ სამივე წადილის ასასრულებლად. ღმერთმა ქმნას ამ სასარგებლო წადილმა ფეხი აიდგას და წადილი საქმით დაგვირგვინდეს.

—

**ზაქერით.** ძრიელ სანატრელია, რომ ჩვენს საქართველოში ყოველს მაზრას ჰყვანდეს ისეთი კეთილ სინიდისიანი და შრომის მოყვარე უფროსი (Начальникъ), როგორიც ჰყავს თიანეთის მაზრასა. ვინც კი იცის თიანეთის მაზრის გარემოება ეხლანდელს დროში, დარწმუნებული იქმნება, რომ პატივცემული თიანეთის მაზრის უფროსი ნ. ზ. ჩოლოყაშვილი ძრიელ ბევრსა ცდილობს თვისის ხალხისათვის. მგონი, უნდა იცოდეს მკითხველმა საზოგადოებამ, რომ ამ უფროსმა თვის საკუთარის მეცადინეობითა დაარსა სოფელს თიანეთში სასოფლო საამხანაგო ბანკი. ამ ბანკის საქმე უკანასკნელ დღემდე ძრიელ კარგად მიდის, ასე რომ ამის მოლოდინიც არა გვქონდა. იქ, სადაც არის ისეთი მუშაკი, ისეთი საზოგადოების წინამძღოლელი, როგორც ნ. ზ. ჩ. და უეჭველია, რომ ყოველისფერი კარგათ იქმნება. ეს პატივცემული პირი კარგა ხანია, რაც შეუდგა მეორე სასარგებლო და საჭირო დაწყობილებასა. ეს დაწყობილება არის „სააღებ-მიცემო ამხანაგობა." როგორც მე გავიგე, ჯერ საცდელათ ს. თიანეთში ჰსურს ამ უფროსს სავაჭრო და სააღებ-მიმცემო ამხანაგობის დაფუძნება და შემდეგ ამისდაგვარად სს. ახმეტაში და მატანში (სოფლები თიანეთის მაზრაში). უეჭველია, რომ თ. ნ. ზ. ჩოლოყაშვილი კიდეც მოიყვანდა აქამდინ ამ დაწყობილებას ასრულებაში, უკეთუ არ შეეყენებინა ამ წყეულს ომიანობას საზოგადოდ და დალესტნის არეულობასა კიდევ საკუთრივ. რაღა ლაპარაკი უნდა, რომ საზოგადოდ ეს დაწყობილება ძრიელ სასარგებლოა, მაგრამ ს. ახმეტისათვის არამც თუ სასარგებლო, არამედ აუცილებელი საჭიროება არის. ძნელია წარმოსადგენად, თუ როგორ აწვალებენ ის წყეული სომხები იმათგანვე გაღარიბებულს ახმეტასა! ეს ძრიელ კარგად იცის თვით პატივცემულმა ნ. ზ. და ცდილობს, რომ როგორმე გლეხები გადაარჩინოს სომხების მტაცებლობას, — ამისათვის წელს გამოუცხადა გლეხებს ახმეტაში, რომ თითონვე დაედგინათ პურისა და ქერის ფასი, თუ რას ნაკლებ არ მიეყიდნათ მედუქნეებისათვის. მაგრამ ყოველივე ესე იყო ამაო. გლეხებმა ვერაფერი მოახერხეს რა აგეთი, და ვერც შეეძლოთ: ყოველს ამისთანა საქმეში გლეხებს უნდათ კარგი მოთავე, მაგრამ გლეხს ვინ მიაქვავათ იგეთი კაცი! გლეხები ვერაფერს საქმეს გახდნენ და მედუქნეები იღებდნენ პურს ისე, როგორც უნდოდათ. თუნდა რომ კიდეც ფასი დაედოთ, თვითონ სომხები ამბობდნენ, ეგ ორივე ერთია ჩვენთვისაო. თუ გლეხები სამ მანეთად გახდიან კოდ პურს, ჩვენ კიდევ სამ-შაურიანს ჩითს ექვს შაურათ გავხდითო. საკვირველიც არ არის ამისთანა მუქარას გლეხი შეუშინდეს! ერთის სიტყვით ყოველივე ღონისძიება ამაოა, გარდა იმისა, რომ თვით გლეხთა ამხანაგობა შეადგინონ და ამ ამხანაგობამ აღებ-მიცემობა გაჰსწიოს თავის სოფელში. გარდა იმისა, რომ ეს ამხანაგობა დაუნარჩუნებს სოფელს თითქმის მომეტებულს ნაწილს თავისის წლიურის მოსავლისას; გარდა იმისა, რომ მთელს სოფლის საზოგადოებას მისცემს ღონისძიებას შესაფერის ფასით საჭირო ნივთების მოპოვებისას, თვით გლეხნი იქმნებიან ამღებნ-ცა და მიმცემნიცა, თუ რამ გამორჩომა იქმნება თვითონვე შინ დარჩებათ და არა გარმიანელ ვაჭრებს. ეს ამხანაგობა კარგა ხელს მოუმართავს უფრო ახმეტასა და მის მგზავს სოფლებს, სადაც სახნავ-სათესი ასე უსწორ-მასწოროთ არის განაწილებული გლეხებსა და თავადებ შორის (მე აპით ის მინდა ვსთქვა, რომ ს. ახმეტაში თითქმის სულ თავადების ხელშია სახნავ-სათესი). ამაზედ მე შემდეგ მოგილაპარაკებ. ხოლო ეხლა ვისურვებდი, რომ ზემოხსენებული ამხანაგობა ძრიელ მალე დაარსდეს, თორემ რამდენიც გვიანდება, იმდენი უფრო საქმე რთულდება და ძნელი იქმნება სომხების ხელიდამ თავის დახწევა. ურიას ერთი დღე ერგო და ისიც შაბათიო. ძლივს მოჰხედა ღმერთმან ახმეტელებს, და ნუ თუ ეხლაც ამ წყეულმა ომიანობამ კიდევ უნდა აღოდინოს დიდს ხანსა!

X

მნელია კაცმა წარმოიდგინოს, თუ როგორის სიმარდით მუშაობენ ჩვენი მენახშირეები ტყეებში. როგორც ვიცით, ერთი წყობას მენახშირეებისას მოაქვთ ნახშირი გლდნის ზემოდან რომ ტყეები არის, ერწოს გზაზედ. იქმნება რამდენიმე წელიწადი, რაც მე დავიარები ხოლმე აქეთკენ, და მიკვირს, როგორის სიმარდით აცარიელებენ მენახშირეები ტყეებსა. მოყოლებული მამკოდის ზემოდან, ცხვარიჭამიის მთა სულ გატიალებულია. იქ, სადაც ამას წინად შეჰხვდებოდი მშვენიერს დაბურულს ტყესა, ეხლა სულ მოტიტვლებული მთებიღა არის. ისე მარდათ ატიალებენ ტყეს მენახშირეები, რომ ძრიელ მალე გადაიხედავენ ერწოშიაც, თუ ჯერ არ გადაუხედნიათ. რასაკვირველია, ესე მალე ვერ მოასწრობდნენ მენახშირეები ამისთანა უხვის ტყეების გატიალებასა, რომ ისე დაუნდობლათ და გაუფთხილებლათ არ ეკიდებოდნენ იმ საგანსა, რომლის წყალობითაც ისინი ცხოვრობენ. როგორც ეხლა ვხედავთ, უთოოთ არ უნდა იყოს ძრიელ შორს ის დრო, როდესაც ტყეებიც ისე გაჰქრებიან, როგორც გაჰქრნენ თბილისის გარეშემო, თუ ამ მოკლე დროში არ იქმნება წინად მიღებული ზომა რამ ტყეების გასაფრთხილებლად.

X

დალოცვილი თელაველი კორრესპონდენტები! აი, მე და ჩემმა ღმერთმა, სიფხიზლე სწორედ ეგეთი უნდა! არც დღისით ისვენებენ და არც ღამით. ერთის სიტყვით, თელაველს კორრესპონდენტებს შეუდგენიათ ჯამქარი და მისცემიან ყოვლის ღონისძიებით ერთს განზრახვას — შეკრიბონ ყოველ გვარი ამბავი თელავში. მკითხავებსა ვჩიოდით და ეხლა ჭკვიან-მეშლილებიც ზედ მოაყოლეს მკითხავებს. აი რას იწერება ერთი ვიღაცა თელავიდან: „წარსულს კვირაში თელავში მოხდა ერთი ქორწილი და როდესაც მეფე, ჩვეულობისა მებრ მესამეს დღეს ფეხის საბრუნებლათ წავიდა ცოლეურს (არ იქმნებოდა ურიგო, რომ კორრესპოდენტს დაწვრილებით აეწერა, ან როგორ წავიდა მეფე, ან ვინ გაჰყვა თან და ამისთანა სხვები) და გახშამს შექცეოდა, იმ დროს იმისი უფროსი ჭკვა-სუსტი ძმა შევარდა უცებ კამპანიაში და ლანძღვით უთხრა საერთოდ ყველასა: თქვე მ....ბო (ჯან, კორრესპონდენტო!) მე რადა დაგიშავეთ, რომ ერთი ქალი მეც არ მომეცით...“ (183 № „დროება“). საწყალო გიჟებო! თქვენი ჯავრი კი არ გეყოთ, რომ გაზეთებშიაც კი გწერენ!?. ვფიქრობ, ვფიქრობ, და ვერ მომიფიქრებია, ის გმირი „ჭკუა-სუსტი“ უფრო უჭკო იქმნება, თუ ამისთანა სანარევო ამბავის დამწერი.

დ. რ.

---

## ომის ამბები

— აი რას იწერება მთავრობა მასზედ თუ რა ზარალი მოუვიდა ჩვენებს პლევნის აღებაზედ და რამოდენი ტყვე და დავლა დარჩათ. მოკლულია ორი შტაბ-აფიცერი და 582 ჯარის-კაცი. დაჭრილია: ხუთი შტაბ-აფიცერი 40 ობერ-აფიცერი და 1207 ჯარის-კაცი. გაკენწლილია: ორი ობერ-აფიცერი, სამი ჯარის-კაცი — სულ ესენი ერთად შეადგენენ 57 აფიცერს და 1,792 ჯარის-კაცს. ზარალი ოსმალთა, თევერინ-ფაშის სიტყვით, 4,000-ზედ მეტია. ჩვენებს დარჩენიათ ტყვედ ათი ფაშა, 128 შტაბ-აფიცერი, 2,000 ობერ-აფიცერი და 36,000 ჯარის-კაცი, ზემოხსენებულ ოთხი ათას კაცს გარეითად; ეს ქვეითი ჯარი. ცხენოსანი ჯარი 1,200 კაცია ტყვედ დარჩენილი; ზარბაზანია აღებული რიცხვით 77-ტი. ტყვედ დარჩენილნი ფაშები 30-ს ნოემბერს მოუყვანიათ ბოგოტში, სადაც დუნაიის ჯარის უმთავრესი სადგურია. ოსმან-ფაშას სადგურთან, მთავარ-სარდლის ბძანებით, დაუყენებიათ საპატიო ყარაული, რომელსაც, ოსმან-ფაშა მოსულა თუ არა, სამხედრო პატივი უცია და პატივის ნიშნად დაფი დაუკრავს.

— 29 ნოემბერს 4-ს საათზედ შუადღის შემდეგ ოსმალის დიდ-ძალი ჯარი გადასულა ლომის წყალს კრასნის სოფელთან. სალამომდე ორმოც ბატალიონზედ მეტი გასულა. 30 ნოემბერს მთელის ძალით ოსმალონი იერიშით მისულან ხელმწიფის შვილის ვლადიმირ ალექსანდრეს ძის ლაშქარზედ, უმთავრესი ძალა მეჩკაზედ მიუმართავთ. ძლიერის ომის შემდეგ დიდის მთავრის ჯარს სასხელოვანად უკუ უქცევია ოსმალოს ჯარი და თვით მიუტანია ოსმალზედ იერიში. ხელმწიფე მემკვიდრის ბძანებით, რომელიც თვითონ ბძანებულა ამ ომში, ორი პოლკი 35 დივიზიისა დასცემია ოსმალთ გვერდიდამ. ომი სწორედ სასხელოვანი იყო. სხვა ადგილებში მშვიდობიანობა არისო.

— ამავე ომის ამბავს მთავრობის ტელეგრამმა 1-ის დეკემბრიდამ სხვათა შორის უმატებს, რომ ოსმალნი ექვსჯერ მოვიდნენ იერიშით მეჩვაზედ, მაგრამ ექვსჯერვე უკუ-ქცეულ იქმნენ დიდის ზარალითა. როცა ზემოხსენებული ორი პოლკი მოშველებია ჩვენებს და ომში შესულა, მაშინ მთელს ჯარს დიდის მთავრის ვლადიმირ ალექსანდრის ძისას შეუტევია ოსმალთათვის, გაუქცევია და უდევნია კრასნამდე ვიდრე დაღამდებოდა. ოსმალთა ზარალი დიდი უნდა იყოს, ნაომარი ადგილი სავსეა მათის მკვდრებითა და დარჩენილ დაჭრილებითაო. ჩვენი ზარალი ჯერ ცნობაში არ არის მოყვანილიო. დიდის მთავრის მხლებელთა შორის ორნი არიან დაჭრილნი, ერთი ტყვიით დაჭრილა იქავე, სადაც თვით დიდი მთავარი მდგარა.

— ინგლისის გაზეთს „Times“-ში დაბეჭდილია კორრესპონდენცია, ცოტად დაგვიანებული კი, ესე იგი, 9 ნოემბრიდამ. კორრესპონდენტი იწერება: „შეუძლებელია რომ არზრუმმა დიდხანს თავი დაიჭიროს. სურსათზედ ძალიან ნაკლებათა ვართ, ჯარი ცოტაა და რუსებს კი უეჭველია ერთი სამად მეტი ჯარი ეყოლება. როცა გზის კეთებას დევე-დაღზედ გაათავებენ, მაშინ რუსებს შესაძლოდ ექმნებათ ყოველ მხრით გარს მოგვეხვივნენ და ამით სრულიად გზა შეუკრან სურსათის მოშველებასაც და ჯარისასაც. ამის შემდეგ, რასაკვირველია, დაგვიშინებენ ყუმბარებს და მე მგონია ერთი თვეც ძლივს გასწევს, რომ ან აიღებენ ციხეს, ან კიდევ ჩვენ თვითონ მივცემთ.“

იგივე კორრესპონდენტი ჰსწერს დევე-ბოინის ომის ამბავს და სხვათა შორის იხსენიებს შემდეგს: „სამართალის ითხოვს მიუძღვნა მუხთარ-ფაშას სახელი და დიდება. ამისი მოქმედება და ქცევა მთელს ამ ომებში დიდის მამაცობის მაგალითია. ალაჯაზედ დამარცხების დღის შემდეგ ერთს წუთსაც არ შეუსვენია და სულ იმის ცდაშია, რომ როგორმე ხელიდამ არ წაუვიდეს ეს ადგილები. ყარსში გაისტუმრა რაც კი მეომარი ჯარი ჰყვანდა— სულ 10,000 კაცი და თვითონ მარტო სამი ათასის კაცით, და ამაზედაც ნაკლებითაც მგონი, გადავიდა სოღანლუღს და მაშინვე დაჰკრა დეპეშა სტამბოლში ჯარი მომაშველეთო. იზმაილ-ფაშას რომ ყური ეთხოვებინა მუხთარ-ფაშის ბძანებისათვის, რუსებს დიდი და თითქმის უძლეველი დაბრკოლება დახვდებოდათ დევე-ბოინასთან. მაგრამ იზმაილმა იმის მაგიერ რომ ალაშკირზედ წამოსულიყო და ოცი ათასი კაცი მოეყვანა, კეპრიკოიზედ წამოვიდა და სულ რვა ათასი კაცი მოჰყვა. ეს მცირედი ჯარიც გულ-წამხდარი იყო, ყარსის ჯარზედ უფრო უარესად, თუმცა არსად კი ჯერ არ დამარცხებულიყო. მრავალს შემთხვევაში მუხთარმა დიდი ვაჟკაცობა გამოიჩინა. თუმცა მარცხი მოუვიდა, მაგრამ იმ ყოფაში რა ყოფაშიაც მუხთარ-ფაშა იყო არა მგონია რომელსამე ღენერალს შეჰსძლებიყო ის, რაც მან შეჰსძლო. წარმოიდგინეთ: ცარიელი ხაზინა, ჯარი რომელსაც ჯამაგირი არ ეძლევოდა, სურსათ მოკლებული, არსად ცხენი, არსად ურემი სიმძიმის საზიდად, ორგულნი ღენერლები, ყოვლად უხეირო მემარჯვენე ჯარის წინამძღვანი—სულ ყოველივე ესე შეადგენდა იმ გარემოებას, რომლითაც მოცული იყო მუხთარ-ფაშა. აბა ამით ვინ რას ჩაიდენდა მასზედ მეტს რაც ჩაიდინა მუხთარ-ფაშამ?“

— კონსტანტინეპოლის კორრესპონდენტი იმავე გაზეთისა იწერება: „კერძო გვამნი არზრუმიდამ იწერებიან, რომ იქ ძალიან ავი დარი ყოფილა ნახევარ ნოემბრამდე. მუხთარ-ფაშას მარტო ამ ავ-დარზე იმედიღა აქვს, იქნება ამან მიშველოს რამე მაინცაო. მაგრამ ეს იმედი თან და თან ეკარგება, რადგანაც რუსები მინდორზედ დადგნენ და გზა გადუჭრეს ტრაპიზონისა. ამ წერილებში მოხსენებულია, რომ ოსმალნი საშინლად უღვთოდ და მხეცებრ ექცევიან რუსის მკვდრებს და დაჭრილებს, არამც თუ მარტო მამა-კაცნიო, დედა-კაცნიც კიო. მუხთარ-ფაშას განუზრახავს უკანასკნელ განწირულებამდე ვეცდებიო, რომ ეს ქვეყანა რუსებს არ ჩაუგდო ხელშიო. თვით სტამბოლში კი იმედ გადაწყვეტილები არიან.“

— იმ ომზედ, რომელიც ღენერალს სვიატოპოლკ მირსკის ჰქონია 22 ნოემბერს ელენასთან და რომელიც „ივერიის“ წინა ნომერში იყო მოხსენებული, თავისის მთავრობისათვის სულეიმან-ფაშას მიუწერია, რომ ხსენებულს დღეს ელენის სიმაგრეები რუსებს ფუად-ფაშამ წაართო და რუსებმა უკან დაიწიეს ტირნოვისაკენაო. სულეიმან-ფაშის სიტყვით ოსმალთა მხრით ყოფილა სამი ბრიგადა და რუსის მხრით კი 16 ბატალიონი ქვეითი ჯარი 24-ის ზარბაზნითა. ოსმალოს ჯარმაო ჯერ მარჯენა დაიჭირაო და მერე თან-და-თან დაიპყროვო ელენის სიმაგრეებიცაო.

— აი მუხთარ-ფაშას რა მოუხსენებია ოსმალთა სამხედრო მინისტრისათვის იმ უკანასკნელ ომზედ, რომელიც ჩვენებს ჰქონდათ არზრუმთან 9 ნოემბერსა: „დღეს დილის სამის საათის ნახევარზედ რუსებმა იერიშისათვის ორი რაზმი დააწყეს; ერთს უნდა ტყუილი იერიში მოეხდინა და მეორეს კი—მართალი. პირველი რაზმი მიემართა აბდურაზმან—გაზის სიმაგრეს, არზრუმის სამხრეთ; აქ იყო ჩვენის მხრით სარდლად იზმაილ-ჰაკკი-ფაშა. მეორე რაზმი დაეცა აზიზს, რომელიც ნაწილია თოფ-დაღის სიმაგრისა. აქ ჩვენის მხრით სარდლად იყო ჰასსან-თაჰსინ-ფაშა. რუსნი სიბნელის შემწეობით წამოვიდნენ წინ იმ განზრახვით, რომ დაეპყრათ ერთი მხარე აზიზის სიმაგრის მარცხნივ. ეს მხარე ეჭირა ჩვენს ერთს ბატალიონს, მაგრამ ამ ბატალიონმა ვერ გაუძლო, რუსნი შემოვიდნენ, დაიჭირეს ის მხარე და მთელი ბატალიონი ტყვედ დაინარჩუნეს. პოდპოლკოვნიკის ზესრიბეის ბატალიონმა, რომელიც იქვე ახლო სიმაგრეში იდგა, ძალიან ხერხიანად და მედგრად იმოქმედა, ასე რომ რუსებს გარს შემოერტყა, მოიმწყვდია, ისევ დაიბრუნა სიმაგრე და გათენებამდე შიგ იდგა. როცა მას შემდეგ ის სიმაგრე ისევ რუსებმა დაიპყრეს, მე მაშინვე მივაშველე ორი ბატალიონი ქვევითა ჯარი ღენერალ კუპიდან მაჰმედ-ფაშის წინამძღოლობით. ეს ბატალიონები მისვლისვე უმალ მიესივნენ რუსებს, შეუცვივდნენ სიმაგრეებში და შტიკებით შეუტიეს. სიმაგრის შიგნით ადგილი აივსო მტრის მკვდრებითა და ჩვენი ერთი ბატალიონი ტყვედ დარჩენილი გამოხსნილ იქმნა. იქ ახლო-მახლო მყოფმა რუსის ჯარმა რაკი შეიტყო, რომ ჩვენ სიმაგრეები ისევ უკან წავართვით, მაშინვე დაფთხა და უკან წავიდა. ცხენოსანის ჯარის ღენერლები ჰასან-თაყსი-ფაშა და მუსა-ფაშა მტერს უკან გამოუდგნენ და სულ დევებოინამდე თოფის სროლით ჰსდიეს. მივიდნენ რუსნი დევე-ბოინთან თუ არა, შეიკრიბეს ძალა და უკუაქციეს ჩვენი ჯარი. მას შემდეგ ჩვენმა ჯარმა ხელახლად შეუტია რუსებს და ხელახლადვე უკან დევე-ბოინასაკენ დაჰსწია რუსნი. იერიში იზმაილ-ჰაკკი-ფაშის ჯარის წინააღმდეგ ტყუილი გამოდგა. რუსებმა ვერ გაუძლეს ჩვენს მთის-ზარბაზნებს, რომელნიც იდგნენ გიუმიუშლი-გიუმბეთის სიმაგრეზედ და თავის გადასარჩენად გაიქცნენ და გავიდნენ ვიწრო გასავალში, სადა აბდურახმან-გაზის აკლდამაა და აქედამ მიიმალნენ მთებში. ამ ომის დროს არზრუმიდამ გამოვიდა ქუდზედ-კაცი, ბაშვებიც კი და გვშველოდნენ ჩვენ ჩვენის მტრის წინააღმდეგ“.

---

## საპოლიტიკო მიმოხილვა

**საფრანგეთი.** მაკ-მაჰონს ძალიან გაუჭირდა საქმე. პალატა სახელმწიფოს ხარჯის ფულს არ აძლევს და მაკ-მაჰონმა და მის ნაცარ-ქექია სამინისტრომ არ იცის რა ჰქმნას. საწყალი მაკ-მაჰონი, რომელსაც ბურთსავით ათამაშებენ ხელში ხან ბონაპარტიელნი, ხან კლერიკალნი, ტოკავს და ტრიალებს როგორც ბუმბული კუდიანის ქარისაგან. ხან იძახის, რომ თუ ბრძოლა უნდათ პალატს, მეც ბოლომდე ვიბრძოლებო პალატის წინააღმდეგ, ხან იძახის რომ მე მორიგებაზედაც შორს არა ვარო. რასაკვირველია ამდენს ტოკვას და უთავბოლო ტრიალს მაკ-მაჰონისას ბოლო მალე მოელებოდა, თუ რომ სენატის იმედი არა ჰქონდეს. სენატში, როგორც მოგეხსენებათ, უმრავლესობა თითქო მაკ-მაჰონისაკენ არის. ეს დამტკიცდა მით, რომ ამ უკანასკნელს დროს ორის სენატორის არჩევანი იყო და ორივ მაკ-მაჰონის პოლიტიკის ძომხრე ამოირჩივა სენატმა ცამეტისა, თუ თექვმეტის ხმის გარდამეტებით. ამ ამბავმა ძალიან გული გაუკეთა თურმე მაკ-მაჰონს და იმედი განუმტკიცა, რომ თუ კინიცობაა საქმე ამ პალატის გადაყენებაზედ და დაშლაზედ მიდგაო, სენატი უარს არ მეტყვის მაგაზედაო. მაგრამ მაკ-მაჰონს ეძნელება ჯერხანად პალატის დაშლა მოითხოვოს; ხალხის არევის და ანღრევის შიში აქვს. გარდა ამისა ხმა დადის, რომ თუ სენატმა მაკ-მაჰონს ეგ წადილი აუსრულაო, პალატი თავისის ნებით არ დაიშლებაო და რამოდენადაც შეიძლება თვის ღირსებას, თვის მოვალეობას ხალხის წინაშე ფეხ-ქვეშ არ გაუშლის რესპუბლიკის მტერსაო, ერთის სიტყვით, არ დაემორჩილებაო არც სენატს და არც მაკ-მაჰონს, რომელნიც ამ შემთხვევაში საფრანგეთის სურვილის წინააღმდეგად გამოჩნდებიანო. ყოველ მხრიდამ წერილები მოჰსდის და თხოვნა მაკ-მაჰონს შენს პოლიტიკას თავი დაანებეო, საქმეს უკანასკნელ განწირულებამდე ნუ მიიყვანო და ამით დაიხსენო ვაჭრობა, სარეწაობა და თვითონ სალხიცა იმ ზარალისაგან, რომელშიაც შენმა პოლიტიკამ ჩააგდოო. საფრანგეთის ხალხი,—გაზეთების შემწეობით.

თუ ისე, — ხმა მაღლა თხოულობს, რომ მაკ-მაჰონი დაემორჩილოს პალატს, როგორც ხალხის წარმომადგენელს კრებას, და მარტო პალატის სურვილს აჰყვეს.

რა არის მიზეზი განხეთქილებისა მაკ-მაჰონისა და პალატის შუა? მრავალთა მიზეზთა შორის, რომელთაც ცხადად, თუ ფარულად, საგნად აქვთ რესპუბლიკის დამხობა, ერთი უმთავრესი ის არის, რომ ბროლი-ფურტუს სამინისტროს დამხობის შემდეგ, მაკ-მაჰონმა ამოირჩია ახალი მინისტრები, იმისთანანი, რომელნიც არ ეკუთვნიან არამც თუ უმრავლესობას პარლამენტისას, არამედ არც რომელსამე წრეობას, არც სენატისას და არც პალატისას. ამ გვარი მოქმედება მაკ-მაჰონისა ნიშნავდა მას, რომ კონსტიტუციის წესი, ხალხის სურვილი, ხალხის წარმომადგენელნი მაკ-მაჰონს არაფრად მიაჩნია. ეს უდიერობა მაკ-მაჰონისა იგრძნეს მათ, ვისთვისაც ყოველივე ზემოხსენებული წესი, ხალხის სურვილი, წარმომადგენლობა ფუჭ სიტყვათ არ მიაჩნიათ, არამედ თვის უწმინდესს მოვალეობათ, თვის საკუთარ ღირსებათ და პატივათ. მაკ-მაჰონის წინდაუხედაობას რესპუბლიკელთ ეს პასუხი მისცეს: ჩვენ ხალხის წარმომადგენელთ შენ არაფრად გვაგდებო, მაშ ჩვენც შენს სამინისტროს არაფრად ჩავაგდებთო და მასთან არა რა საქმეს არ დავიჭერთო. თუ კიდევ გაგვიძალიანდებიო არც ფულს მოგცემთო, რომ სახელმწიფო საქმეები აწარმოვო და ჯამაგირები ურიგო შენს ყურ-მოჭრილს ხელისუფალთაო. შეაფუცხუნდა ამაზედ მაკ-მაჰონი და მისი სამინისტრო. ბევრი მუქარა გაუწია, ბევრი იყვირეს, რომ თუ მაგ წინააღმდეგობაზედ დადგებითო ხელახლად დავითხოვ პალატსაო და ახალს ამოვარჩევინებო. ამასაც წამალი უპოვა პალატამ და პასუხად ეს გამოაცხადა, რომ პალატის დათხოვნის საქმე გადაწყდებოდეს ხოლმე სენატში არა მარტო ერთისა და ორის ხმის გარდამეტებით, არამედ მთელის სენატის ორი მესამედის ხმითა და ეს ჩვენი გარდაწყვეტილება კანონად უნდა დაიდვას საკუთრადაცაო.

ბოლოს მაკ-მაჰონს საქმე ისე გაუჭირდა, რომ იფიქრა მორიგდეს ისა ჰსკობიაო და შეუდგა იმისთანა სამინისტროს შედგენას, რომელიც პალატის უმრავლესობას ეკუთნება. დაიბარა თავისთან ზომიერი რესპუბლიკელი დიუფორი და ჰსთხოვა შუამავლობა ეგისრეო და როგორმე მოგვარიგეო მე და პალატაო. მაკ-მაჰონმა ისეც დაუმატა, პალატამ გარკვევით გამოაცხადოსო რა სურსო და იმისთანა პირობასაც ნუ დამიდებსო, რომლის აღსრულებაც ჩემთვის შეუძლებელი და სათაკილო იქმნებაო. დიუფორს მოეხსენებინა, რომ ყოველს ღონისძიებას იხმარებს რათა მორიგება ჩამოაგდოს. მაგრამ დიუფორს პირველ ხანში მოუცდა მორიგების ჩამოგდება. რესპუბლიკელთ იმისთანა პირობები გამოაცხადეს, რომ მაკ-მაჰონმა არ იყაბულა. აი რა პირობებია, შედგენილი დიუკლერისაგან და მოწონებული გამოჩენილთა რესპუბლიკელთაგან: 1) სამინისტრო უნდა შესდგეს პალატის რესპუბლიკელთ დასის წევრთაგან და მიეცეთ სრული თავისუფლება მოხელეების გარდაყენებისა და გამოცვლისა; 2) შეიქმნეს მუხლი კონსტიტუციისა შეცვალოს ისე, რომ პალატის დათხოვნის საქმე სენატში გადაწყდებოდეს ორი-მესამედის ხმის უმრავლესობით; 3) რესპუბლიკა აღიარებულ იქმნას საუკუნოდ და საბოლოოდ, ასე რომ ყოველივე შეურაცხყოფა მისი და მის წინააღმდეგ შეთქმულობა ბონაპარტიელებისა და მონარხიელებისა დევნილ იყოს სასტიკად.

უმრავლესი ნაწილი რესპუბლიკის დასისა ამ პირობებს მიემხრო, მაგრამ ხმა გავარდა, რომ მეორე მუხლი ამ პირობებისა ვერ ეჭაშნიკა მაკ-მაჰონსაო. დიუფორს, ოდიფრე-პაკიეს შემწეობით, შეუდგენია თვისი პირობები და გაუსინჯვინებია მაკ-მაჰონისათვის და ამ პირობებიდამ გამოურიცხავთ ის მუხლი, რომელიც არ მოეწონებია მაკ-მაჰონს.

უსათუოდ ამ დიუფორის პირობებზედ დათანხმებულან. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ ამ ბოლოს დროს ტფილისში ამბავი მოვიდა მაკ-მაჰონმა დიუფორი ამოირჩია პირველ მინისტრათაო და მას მიანდო სხვა მინისტრების ამორჩევაცაო. თუ ესეა საფრანგეთი ცოტად მაინც დამშვიდდება.

---

ინგლისი. 29 ნოემბერს ინგლისის გაზეთებს დიდი ლაპარაკი ჰქონიათ პლევნის აღების თაობაზედ. იქიდამ მოსული დეპეშა, დაბეჭდილი რუსულ გაზეთში «Московскія Вѣдомости»-ში გვაცნობებს, რომ ყველა გაზეთები ოსმალოს ერთ ხმად ურჩევენ შერიგებას. ინგლისის გაზეთი „Times“ ჰქადაგობს, რომ ეხლა ძალიან მარჯვე დროაო შუამდგომლობისათვის და იმედს აცხადებს, რომ ინგლისის მთავრობა ყოველ მეცადინეობას იხმარებს ამ შუამდგომლობისათვის. გაზეთი „Daily

elegraph" იბრძვის მისთვის, რომ მთელმა ევროპამ
ისროს საერთოდ ეგ შეამდგომელობა. „Standard"
„Morning Post"-ი ამბობენ, რომ ინგლისის ინ-
ერესების საქმე დიდს განსაცდელშიაო.

—

ႢႤႰႫႠႬႨႠ. ბერლინიდამ რუსულ გაზეთებში იწე-
ბიან, რომ, ნემეცების გაზეთების სიტყვით, გერმა-
ას და ავსტრიას ამ უკანასკნელს დროს ლაპარაკი ჰქო-
ათ ცალკედ მორიგებაზედ რუსეთისა და ოსმალოს შო-
ის. ეს ორივე სახელმწიფო მორიგებულან ერთმანეთში
დამყარებულან მასზედ, რომ მარტო რუსეთმა და
სმალომ უნდა მოილაპარაკონ ერთმანეთში და სხვის
ურევლად გაათაონ საქმეო. ავსტრიამ გული დაარწმუ-
ო, რომ ინგლისი მარტო თავისის საკუთარის სარგებ-
ობისთვის იღვწისო და ავსტრიის სარგებლობას არას
ჰქსდევსო და ამიტომაც ავსტრია უფრო დაუახლოვდა
რმანიასაო. ეხლა ინგლისი იმისთანა მდგომარეობაში
ისო, რომ ძალა-უნებურად უნდა მიემხროს მას, რასაც
აინდომებს ავსტრია, გერმანია და რუსეთიო.

—

ႭႱႫႠႪႤႧႨ. ყოფილს დიდს ვეზირს მიდჰად-ფა-
ს ერთის თავის ნაცნობისათვის წიგნი მიუწერია, რო-
ლშიაც ის ურჩევს ოსმალოს მთავრობასა, არამც და
ამც ცალკე რუსეთთან მორიგებაზედ ლაპარაკი არ და-
წყოსო; ეცადენით რომ ევროპიის უმთავრესნი სახელ-
წიფონიც გაერიონ მაგ საქმეში, თორემ ოსმალეთი
იდ განსაცდელში ჩავარდებაო. ვენის გაზეთს „Presse"-ს
ოსვლია ცნობა სტამბოლიდამ, რომ ქუჩებზედ გამო-
ადებული იყო განცხადებანი, რომელშიაც ხალხი შე-
იგებას თხოულობსო. ეგ განცხადებანი ასე მოჰსწონე-
ია ხონთქარს, რომ დაუბარებია პოლიციის უფროსი
ამდი-ფაშა, მადლობა უთქვამს და უჩუქებია მშვენიერი
ტლი თავისის გამართულობით და ცხენებითა თავისის
აკუთარის საჯინიბოდამ. ყველანი ამბობენ, რომ ეგ გან-
ხადებანი მაჰმუდ დამატის წყალობით არისო გამოკიდე-
ული ქუჩაზედ იმ აზრით, რომ ხალხის ყური შერი-
ების ხმას მიაჩვიოსო.

ამ უკანასკნელს დროს უწინდელის ხონთქრის მუ-
რადის მომხრენი ძალიან ბეჯითობას იჩენენ და ცდილო-
ენ მის ტახტზედ აყვანას ხელახლად. ხმა დაჰყარეს
ალხში, რომ ეხლანდელი ხონთქარი დროებით არის. ეგ
იმდრომდე დააყენეს ხონთქრის მოადგილეთაო, ვიდრე
უწინდელი ხონთქარი მურადი სნეულებიდამ განთავისუფლ-
დებოდაო. რადგანაც ეხლა მურადი სრულიად კარგად არი-
სო, ამიტომაც დროაო სახელმწიფო ტახტი ისევ ამას
ჩააბარდესო. ამბობენ, რომ მურადის ტახტზედ აყვანის
სურვილმა ფესი გაიდგა დაბალ ხალხშიაცაო.

პეტერბურგიდამ მიწერილ წიგნში, რომელიც და-
ბეჭდილია ვენის გაზეთში „Wiener Abendpost"-ში,
ჰსწერია, რომ რუსეთს შემდეგ პირობებზედ ჰსურს ოს-
მალოსთან მორიგებაო: ოსმალომ აზიაში ბათომის ნავთ-
სადგური უნდა დაჰსთმოსო, სომხეთი (არმენია) რუსეთს
ხელში უნდა ეპყრასო იმ დრომდე, ვიდრე ოსმალეთი ამ
ომების ხარჯს უზღაოსო რუსეთს; ევროპაში რუსეთს
არაფრის დაპყრობა არა ჰსურსო, ხოლო ყველგან გან-
თავისუფლებულ სლავიანთა ქვეყნებში უნდა ქრისტიანული
მართებლობა დაიდგინოსო, ქრისტიანთაგანი მთავარი
ვინმე მიიჩინოსო მმართველად და ყველა ეს ქვეყნები ევ-
როპამ თვის მფარველობას ქვეშ უნდა მიიღოსო.

—

ႠႥႱႲႰႨႠ და ႳႬႢႰႨႠ. ვენის ოსმალთა მომხრე გაზე-
თები ძალიან ემდურიან ინგლისის საგარეო საქმეთა მი-
ნისტრის დერბის, რომ ამას წინად ოსმალოს სასარგებ-
ლოდ არ წარმოჰსთქვა სიტყვა და მით იმედი დაუკარგა ინგ-
ლისზედ ყველას ვინც კი მომხრე იყო ოსმალეთისა. ვე-
ნის გაზეთი „Neue Freie Presse" ამბობს რომ ინგ-
ლისის მინისტრი მაგაზე უარესის სულდაბლობით ვერ-
რას იტყოდა აღმოსავლეთის საქმისა და ინგლისის პო-
ლიტიკის თაობაზედაო. გაზეთი „Morgen Post" ამბობს,
რომ პატივცემული ლორდ-დერბიო სწორედ ჩვენი ანდ-
რაში გახდაო. დერბის სიტყვა ძალიან ჰგავსო ანდრა-
შის უფერულს და გაუბედავს პოლიტიკასაო. ერთი გა-
ზეთი კიდევ ამბობს, რომ ამას იქით ოსმალომ სრულად
იმედი უნდა გადიწყვიტოს ინგლისზედაო, როგორც გა-
დაწყვეტილი აქვს ავსტრიაზედაო. გაზეთი „Frem-
denblat"-ი კი ამბობს შემდეგს: „ჩვენ თავის დღეში სხვას
არას მოველოდით ინგლისისაგან, ჩვენ კარგად ვიცოდით,
რომ ინგლისის პოლიტიკა მარტო თავის საკუთარის
სარგებლობის დაცვას და განვითარებას ეცდებოდა. ამის
გამო ჩვენ სიხარულით ვხედავთ ეხლა, რომ აღმოსავლე-
თის საქმის დაწყების დღიდამვე ჩვენი მთავრობა ერთს
წუთსაც არ შემცდარა ინგლისის მთავრობის განზრახვის

თაობაზედ. ჩვენ ვცხოვრობთ იმისთანა დროში, როცა ყოველი ჩვენგანი მარტო თავისათვის ჰფიქრობს და საკუთარს სარგებლობას დაეძებს. ინგლისის მინისტრები ხმა მაღლა ჰქადაგობენ ამისთანა წესსა და ეგ დროთა ბრუნვის ნიშანია. დერბის სიტყვაში ჩვენ ყველაზედ მეტად ის მოგვეწონა, რომ ავსტრია რუსთა წინაღმდეგ ფეხსაც არ წარსდგამდაო, თუნდა თვით ინგლისიც ამისათვის მხარის მიცემას დაჰპირებოდაო. რაც გამოვცადეთ მეტად მქირად დაგვიჯდა, მაგრამ მაგ გამოცდილებამ ნაყოფი კი მოგვიტანა. ამ დღიდამ ჩვენ აღარა გვსურს ჩვენის ხელით ღველფიდამ წაბლი გამოვიღოთ სხვისათვის."

ღირს საცნობია, რომ ამ ბოლოს დროს ავსტრო-ვენგრიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანდრაშიმ, ამბობენ, წარმოსთქვა თვისი აზრი აღმოსავლეთის საქმის თაობაზედ გარკვევით და გადაწყვეტილად. მას უთქვამს ვითომც, რომ ხელშეკრულობის წერილებთან ერთად სხვა საგანიც არისო, სახელდობრ, ძალ-ღონე, რომელსაც ეკუთვნის უკანასკნელი სიტყვაო და თვით ხელშეკრულობის წერილის აღსრულებაც იმოდენად შესაძლოა, რამოდენადაც დამყარებულია ძალ-ღონეზედაო. სამთა იმპერატორთა (რუსეთისა, ავსტრიისა და გერმანიისა) ზავის შესახებ ანდრაშის უთქვამს შემდეგი: «ჩვენი სახელმწიფო სრულიად ხელგახსნილი და თავისუფალია და თავის ბედს როგორც უნდა ისე აწარმოებსო; არც ერთს სახელმწიფოს ევროპიისას არ ძალუძს ისე მტკიცედ დაიმედებული იყოს, რომ მისი სამართლიანი მოთხოვნილებანი აღსრულებულ იქმნებიან, როგორც ჩვენი სახელმწიფოა დაიმედებულიაო.“ რაცა ანდრაშიმ დაიწყო თურმე მესამზღვრე წვრილ სახელმწიფოებზედ ლაპარაკი, პირ-და-პირ და აშკარად გამოჰსთქვა, რომ შეუძლებელი საქმეა საქრისტიანო ხალხნი აღმოსავლეთისა ისე ცის ანაბარად დარჩესო; განა ავსტრო-ვენგრიას კი არა აქვს გულის ტკივილი მათის კეთილ-დღეობისათვის; განა ჩვენი ინტერესები იმას მოითხოვსო, რომ ოსმალოს ზურგი მივცეთო და ამით იმავ მდგომარეობაში დავარჩინოთო, როგორც ომამდე იყოვო. ანდრაშის პირ-და-პირ გამოუცხადებია, მე სინიდისი ნებას არ მაძლევსო თავი გამოვიდოო, რომ ოსმალეთი ისევ იმ ოსმალეთად დარჩეს, როგორადაც აქამომდე იყოვო; ჩვენის სახელმწიფოს ძალ ღონეს ვერ გამოვიმეტებთ იმისთანა საქმისათვის, რომლის სიმართლე და აღსრულება არა ჰსწამს არც ერთს სახელმწიფო კაცს ევროპაში და თვით ოსმალეთშიაცაო.

თუ ეს ყოველივე მართალია და არ არის მოგონილი გაზეთებისაგან, ცხადია, რომ ოსმალეთს დიდი იმედი აღარ უნდა ჰქონდეს ავსტრიისა. ავსტრიას, რასაკვირველია, კარგი ლუკმის მოლოდინი ექმნება თუ რომ საქმე ოსმალეთის გაწყვეტაზედ მიდგა. თუნდაც ოსმალეთის სულის ამოხდამდე არ მივიდეს საქმე, და ჩვენის ფიქრით უეჭველია ესეც მოხდება, მაინც ავსტრია კლანჭს გამოჰსდებს რომელსამე ოსმალეთის კუთვნილებას. ამბობენ, ავსტრია მუშტრის თვალით უყურებსო ბოსნიას და იმის ხელში ჩაგდება უნდაო. მაგრამ ჩეხების გაზეთები ამბობენ, რომ ბოსნიელებმა გამოაცხადესო, ჩვენ ამდენი სისხლი დავღვარეთო და გვინდაო თავისუფლად ყოფნაო. ჩვენ თუ რამ გვინდა ისევ ჩვენს თვის-ტომ სერბიასთან შეერთება გვინდაო. ყოველი ჩვენი თანამემამულეო, რომელსაც ეს არ ჰსწადიან და სხვას რასმეს ჰფიქრობსო, ჩვენ გამოგვიცხადებია ქვეყნის მგმობელად და მოღალატეთაო. ჩვენ ფიცი დაგვიდვიაო იარაღით ხელში წინაღუდგეთო ყოველს იმას, ვინც კი მოინდომებს ჩვენის თავისუფლების და სიმართლის ჩამორთმევასაო. რომელიც არა ჰსცემს პატივს ჩვენს თავისუფლებას და სიმართლეს, იმან თუნდა დღეში ას ჯერ ილოცოს ქრისტიანულად, თუ მაჰმადის წესით,—მაინც ჩვენი სისხლის მსმელი იქმნებაო.

---

## მუშა ხალხის მოძრაობა დასავლეთ ევროპაში და მის გამო ფიქრი ჩვენ ხალხზედ.

„საზოგადო სენის წინ დასწრება ან მოსპობა შეუძლებელია, თუ არ ვილაპარაკებთ მასზე გულ-ახდილათ.“

ჯ. სტ. მილლი.

I.

საზოგადო სენი, რომელზედაც მე მინდა აქ ვილაპარაკო—საშინელი რამ სენია. ეს სენი მოედვა მთელ ევროპას; ათასობით და ასი ათასობით ისტუმრებს უბრალო ხალხს უდროოდ სამარისაკენ; სულთამხუთავივით უჭერს კისერში თავის კლანჭებს ბავშს, მოზდილს, მოხუცს, ქალსა და ვაჟსა და უშწარებს სიცოცხლეს; გირგა-

ლივით დასტრიალებს მათ შორის და ატიალებს ნიადაგს ცხოველის ადამიანისას. ავისა და გარყვნილების სნეულებით ჰსჭამს, სწოწნის და ალპობს მათ ცოცხალ გვამებს; უკარგავს ადამიანის სახეს და ადამიანს ხდის პირუტყვათ. ამ სენს სახელათ ჰქვია—პროლეტარიობა. პროლეტარი ნიშნავს უადგილ-მამულო, უქონო მუშას, ანუ როგორც ჩვენში იტყვიან, ბოგანას. ბოგანა კაცს, პროლეტარის, გართხმული აქვს თვისი მარჯვენა გასასყიდად: მას შიმშილი იძულებულ ჰყოფს მიიღოს ყოველნაირად დატვირთული პირობა, ოღონდ შიმშილით არ მოკვდეს.

ეს სენი ახალი რამ არ არის. რომის ისტორიის ფურცელი ცხადად გვიხატავს ამ სენის სურათს თითქმის იმ ნაირადვე გვიხატავს, როგორადაც ახლანდელ მუშა-ხალხის მდგომარეობას გვიმცნებენ ესლანდელი მეცნიერთა ნაწერნი. თვათ სიტყვა: პროლეტარიატი (Proletarias) ლათინურია, ასე რომ რომი ჭეშმარიტად იწოდების მის აკვნათ და ბუდეთ. აქ იყო მან პირველათ ბუტ-ბუტი, რომელიც ბოლოს გადიქცა ლომის ღრიალათ; დღე და ღამ იბრძოდა თავის კაცობრიულ უფლებებისათვის და დაიცვა კიდეც, მაგრამ მაინც უმიწა-წყლოთ დარჩა. ყოველნაირი სამოქალაქო უფლებები მოიპოვა და ამ მხრით შეუსწორდა მაღალ საზოგადოებას, მაგრამ მაინც ღრიალებდა: Panis et circençes: პური და ცირკიო (გასართობი რამე). ამის გამომიებას დროც უნდა და მასალებიც. მე ესლა არც ერთი მაქვს და არც მეორე. შემდეგ როდისმე, შეიძლება მაგასაც მოვკიდო ხელი, თუ დავინახეთ საჭიროთ მე და „ივერიის“ მოხელეებმა. მანამდის საკმაოდ ვრაცს გაკვრით გადავავლო თვალი მის წყაროს და გზას, რომლითაც ეს თავდაპირველ პაწია დღელე თან-და-თან გადიდებული და გაზვიადებული ჩაერთვის ესლანდელ პროლეტარიობის მორევს.

ვინ იცის, რომის პროლეტარიობას არ დასცალდა, თუ არ ჰქონდა იმდენი ძალა, რომ მთლად მიეხწივა თვისთა განზრახულ საგნამდე, ე. ი. ეშოვნა საკუთრებაც; —ეს კი აშკარაა, რომ პროლეტარიობის საქმე არ გადაწყვეტილა მაშინ. იმ დროს მოაწვა ველურის ხალხის ურდო რომის სამფლობელოს და შელეწა მისი კარები; მისრის-მოსრისა იქაურობა და დაადგინა ახალი წყობილება და კანონები. ყველაფერი დამყარდა ძალაზე. გამარჯვებულები შეიქმნენ ბატონებათ და უფროსებათ; დამარცხებულნი მათ შინაყმათ და ქვეშევრდომათ. შეჰსწყდა ალებ-მიცემობა, ხელოსნობა და სარეწაობა: აირ-დაირია მყუდრო და მშვიდი განწყობილება; დაიმხო დიდი ქალაქები. და აირივა მათთან განუშორებელი პროლეტარიობაც. პროლეტარიობის დედა დიდი ქალაქებია, თავის ხელოსნობით და წარმოებით; მხეცურ ხასიათს ესენი ვერ იშვნევენ. პროლეტარიობამ თავისი ტვირთი გადასცა სოფლის—გლეხ-კაცობას. ამ უკანასკნელს დარჩა სასარგებლოდ ადგილ-მამული, მაგრამ ვაი მისთანა დარჩენას! ძალა და ბეგარა ჭაპანს აწყვეტინებდა. ამას დაემატა კიდევ ის, რომ ყოველნაირი სამოქალაქო უფლებანი, რომელნიც პროლეტარიობას მოპოვებული ქონდა—გლეხ-კაცობას ჩამოერთო, ასე რომ ხელმეორეთ შექმნა მოსაპოვებელად. მაგრამ იმისთვის ვის ჰქონდა დრო საშუალ საუკუნეების დასაწყისში? გლეხ-კაცების სუსტ ხმას ვინ გაიგონებდა იმ გაცხარებულ და მხეცურ დროთა ტრიალში? მაშინ სულ სხვაჩედ იყო მიქცეული ყურადღება.

გამარჯვებულმა ხალხმა დაჰბადა თავის გვამიდგან ერთის მხრით მთავარნი თავისის ამალით, ვასალებით, რაინდებით; და მეორეს მხრით მაღალი წოდების სამღვდელოება—მოთავე პაპით. შეიქნა ბრძოლა და ქიშპი მუდმი და შეუწყნარებელი ერთის მხრით ეკკლესიებს და სახელმწიფოს შუა, ესე იგი, მღვდელსა და მეფეს შუა, ბატონობაზე, და მეორეს მხრით მთავრებსა და რაინდებს შუა, მთელი საშუალო ისტორიის აზრი ამ ბრძოლაზე და ქიშპზე დამყარებული. ეს აზრი ნამდვილად გამოხატულია ამ სიტყვებით: Homo homines lupus est-კაცი კაცისათვის მგლათ გადიქცაო. რა ადგილი ეჭირა ამ ტრაგედიაში გლეხ-კაცობას? ძრიელ საცოდავი და არა სანატრელი. ეს იყო მსხვერპლი ყოველის აყალ-მაყალისა და დავი-დარაბისა. ერთი რაინდი დაეცემა მეორეს, ეს შეიკეტება თავის კოშკში. მაგრამ ამითი არ თავდება საქმე. პირველი ამოჰსწყვეტს, გადაჰსწვავს მის გლეხ-კაცებს; გაუოხრებს ყანებს, და დაბრუნდება სახლში გულშეჯერებული. გლეხ-კაცობას მაშინ იმისთანა მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც რაიმე საქონელსა გლეხ-კაცის ოჯახში, არც მეტი არც ნაკლები. მას ჰყავდა ათასი ბატონი, რომელიც როდისაც ინებებდა, მაშინ ამოართმევდა სულს. ამისათვის საჭირო იყო, რომ სცოდნოდა რომელიმე ერთი მათგანი ნამდვილ ბატონად და მსახურებოდა მას. ერთი რომ უფრო ადვილად ემსახურება ერთ ბატონს, ვინემ ასს; და მეორე, თუ გაჭირდა, ამ ერთის მოშორე-

ბა თავიდამ უფრო ადვილია, ვინემ ასისა. ამ მხრით, რასაკვირველია, ტყუილად არ ნაყვლია რამოდენიმე საუკუნეების წეწა-გლეჯას. ბოლოს როცა იქნებოდა ხომ უნდა გაემარჯვნა ამ ასში ერთსა რომელსამე. ეს ერთი პაპი იყო.

პაპის მედიდურებამ და თვალ ახვეულმა სიამაყემ ყველას მოაბეზრა თავი. სულიერი მამა, წოდებული ქრისტეს მოადგილედ ამ ქვეყნიერობაზე, ხმარობდა სრულიად შეუფერებელ ღონეს თავის ღირსების დასაცველად. მან ააყროლა მთელი ევროპა დამწვარის კაცის ხორცის სუნითა და ათასათ სხვა ავკაცურის მოქმედებითა, რომელნიც არ ღირს მოსახსენებლად. მან გადააფინა ბადე მთელ ევროპას, სახელდობრ—იეზუიტობა და მკვიდრად ჩასჭიდა გრძელი ბრჭყალები თავის მდიდარ მსხვერპლს. ამ ბადეს ვერ ესხმოდა რაინდების და კაროლების ბასრი, რადგან სულ სხვანაირი მასალებით იყო ნაქსოვი. ზნეობით ძალას ნაჯახით ვერ გაჰკაფავ; მას უნდა თვისი საფერი იარაღი, და აქა გამოჩნდენ აზრის გმირები; ამათ მიჰყვეს ხელი პაპის ძლიერების დამხობას; იგინი არ შეუშინდენ იმ ცეცხლის ქურას, რომელშიაც უნდა დამწვარიყვნენ. ეკლის გვირგვინი მწვავია, მაგრამ ყოველთვის მიმზიდველია გმირთა-კაცთათვის. ამ საგანს ჰქონდა, აქვს და ექნება კიდეც მისთანა მნიშვნელობა, რომ ასე ადვილად ვერ შეელევა კაცობრიობას. შეიძლება ეს გვირგვინი დაზნელდეს, ანუ გამშვენიერდეს, სხვა სახე მიიღოს, მაგრამ თავის წარმტყვევნელ ძალას არ დაჰკარგავს, სანამ ისტორია არსებობს. ეკლით მოსილნი გმირები: ჯორდანო, სავანაროლა, ვიკლეფ, გუსი უმოწყალოდ ჰსწვდენ და ჰგლეჯდენ პაპის ბადეს. ბოლოს ლიუტერმა დასცა მეხი პაპას და შემუსრა ეს საშინელი ვეშაპი. რაც ვერ შესძლო ნაჯახის ძალამ, ის გაიტანა ზნეობითმა.

მაინც კიდევ საკმაოდ დარჩა გლეხ-კაცის კისერზედ ტვირთი. აუარებელი რაინდები, წვრილი და სხვილი მებატონეები სვავივით დაჩხაოდნენ კიდის-კიდემდე. მეჯილის (მუშტის) უფლება ძრიელ გავრცელებული იყო მაინც კიდევ. რაინდები მტაცებლობდენ და იფირალობდენ, ჩხუბობდენ და იკლებდენ გლეხებსაც და სხვებსაც. კაროლები თავდაპირველად ძრიელ სუსტნი იყვნენ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს გაძლიერდენ და ჩაიგდეს თვით-რჯული აზნაურები და თავადები. თითქმის იმავე დროს ილაჯ გაწყვეტილმა და გაქელილმა გლეხ-კაცობამ იწყო შმაშური. შვეიცარიაში მან აიღო თვისი ფარ-ხმალი თავისუფლებისათვის და გარეკა მტარვალი მეუფლეები თავისის ქვეყნიდგან. ფლანდრიაში დიდი ხანია იბრძოდნენ და იდევნებოდნენ რაინდთაგან. გერმანიაში ლიუტერის დროს იგრიალა გლეხ-კაცების ომებმა და მიამტვრივ-მოამტვრია მებატონეების სახლ-კარი და კოშკები. ამ სახით დაცემულმა და დავარდნილმა ადამიანმა წამოჰყო თავი კაცობრიულის უფლებათათვის, რომელნიც მათთვის საჭირო იყო, როგორც ეხლა პროლეტარიობისათვის—სახლ-კარი მიწა-მამული, ანუ სხვა რამე საკუთრება საჭირო.

(შემდეგი იქნება.)

9 ოკტომბერი 77 წ.
ციურიხი.

---

## პროვინციის მეთვალყურეს

### შენიშვნები

### წერილები მეგობართან

(ვუძღვნი ჩემს მეგობარს ვ—ს)

### III.

ჩემ გულ-ანჩხლს მკითხველს გაუკვირდება, როგორც წინა წერილშიაც მოვიხსენეთ, და ტუჩის აბზუკვით იტყვის: „სათაური რა აქვს და რაზედ ლაპარაკობსო; ის რომ მეგობრის წერის გადაებიროს, ჩვენის სიამოვნებისა რა ბრალიაო!“ ვიცი ამას იტყვით. რა ვქნა, ნათქვამია: ხმა ღვთისა და ხმა ერისაო; აღარ მოვიყვან მეგობრის წერილს, თქვენ შემოგწირავთ, მკითხველო, და შენ, ჩემო მეგობარო, ვიცი არ გეწყინება; შენთვის ისიც დიდი რამ არის, რომ წერილით იმოქმედე. ჩემო მეგობარო, მაშ დავიწყოთ: დიდი ხანია მინდოდა ამ ჩემის უდაბნო ქართლის აღწერა; მსურდა გამეცნო თქვენთვის ხალხის ცხოვრება. აქ უნდა იცოდეთ, ხალხი ძალიან ცოტაა, მაგიერ, უფრო დათვები, ტურები, მგლები და მელებია, მელებს ხომ ვერ აუქცევს კაცი ფეხს. ჰაერი, სიტყვით, მთელი ბუნება, ამ ჩვენ უდაბნოში მშვენიერია. „ყველაფრით შემკობილი ყოფილა, მაშ რაღად ეძახის უდაბნოსო?!„—პირველი წერილი წაიკითხეთ? ჯერ ეს მითხარით. მაგრამ ეს რა საჭიროა,—იმიტომ ვეძახი, რომ ხალხი ცოტაა.

დიალ, ბუნება უმშვენიერესია ამ უდაბნოში; გარშემორტყმულია უდაბნო მაღალის მთებით, რომლებიც პირ-მქუშად დაჰბღვერიან მცხოვრებლებს, თითქოს უნდათ გადმოჰგორდნენ და გაანადგურონო. შიგა და შიგ გველივით გახლახნილან სერები, აბიბინებულნი სუნელოვანის ყვავილებით; მთებს შორის გაწოლილან მინდვრები, გადახნულნი უდაბნოელისაგან; სისხლის ნაკადლით ირწყვიან ეს მინდვრები, თუმცა მდინარეები მოჩხრიალებენ, უხვად მოარწყვინებენ წყალს შემოგოს, როგორც საკმელი. ჰხედავთ უდაბნოელი ჰსდგას ერთი იქ, ერთი აქ,

აჩქარებული მუშაობს; შუბლიდგან ჩამოჰსდის წურწურით ოფლი; ოფლის ნამით ესაზება ჭუჭყიანი ლოყა: ეს დასაქცევიც კი თავის დაღს ასვამს. ჰხედავთ იქ მეორე ჰრწყავს ხნულს „სისხლის ნაკადულით."—რა ბუნებაა და! თუ კაცია დაიწუნებს ვინმე. აბა, ერთი მიჩვენეთ ქვეყანა „ცათა შინა და ქვეყანასა ზედა", რომ კაცი სისხლის ნაკადლით ჰრწყავდეს; ცეცხლის პირს ჰსწვამდეს; ეკლის ტანთსამოსი ეცვას; ეკლის გზაზედ დადიოდეს და ბუნება კი გასაკვირველად მდიდარი ჰქონდეს? ჩემო ბატონო მკითხველო, არსად მეგსვედრია, რომ დაგცხება, ოფლში იწურები, იხრჩობი თითქოს; ტანში ეკლებივით რაღაც გივლის და ეს ყველა გეხამუშება. ჰმ, ჩვენ უდაბნოში ნეტა შემოგასხედა და მაშინ უყურე, რომ ეკლების მაგივრად სადგისებმა გაგიაროს... დიაღ, ჰრწყავს. კიდევ აგერ მეორე დაღუნული, ეკალს იძრობს „ტუფლებით" მორთულ ფეხიდგან და თან მზეს უცქერის, რატომ ჩემმა დედა-კაცმა დაიგვიანა, ჯერი არ მოაქვს, მზემ რომ ასრე გადიხარაო. ჰხედავთ მოდის ლობიოს ქოთნით გლეხი-დედა-კაცი დახეთქილის ფეხებით, კაბის უკანა კალთა წელში გაურჭვია, მჭად-პურა ილიაში ამოუჩრია; უკან მოსდევს ჩხავილით პერანგის ამარა ბიჭი—შვილი, მურცელ-გადმოგდებული, გაზებ შეგლეჯილი, თავ-შიშველა აბურძგნული, სავსე პაწაწკინტელა ცხოველებითა...

მამული ამ ჩვენ უდაბნოში ყოველგან ერთ-ნაირად მომცემი არ არის. ზოგან უფრო ძრიელ მოდის პური, მაგ. შუა უდაბნოში; რაღა მოგახსენო, პური მოდის, რომ მტერსაც კი გაუკვირდება. ეს ნაწილი უდაბნოისა სარწყავი გახლავსთ; ზემო და ქვემო მხარეს უფრო ქერი და თივა მოდის, მაგრამ არც პური და სიმინდი მოდის ნაკლებად. რას იტყვის კაცის ენა და პირი, რომ უდაბნოელს არ მოჰყვანდეს. ყველა ნაირი მიწის მოსავალი ზოგი ცოტა, ზოგი ბევრი უთუოდ აქვს ჩვენებურ გლეხსა. იფიქრებს კაცი: სხვა რაღა უნდა, სრული სახლის პატრონი, სრული მეურნე ყოფილა ჩვენი გლეხიო; უვნებელად, რიგიანად ატარებს სახლობას, კუჭს და სულს დააკმაყოფილებს. მაგრამ ახლო ნახეთ, ჩააცქერდით, თვალები ჩააცეცეთ, რამდენი ჯუჯრუტანა აქვს გლეხის ჯიბეს. ისრე მალე გამოიფხიკება ხოლმე, რომ თითონაც ვერ გაიგებს, ვინემ ხახა არ ამოუშრება.

შეიტანა გლეხმა მოსავალი, დააბინავა; თუ რიგიანი მოსავალიც მოუვიდა, იცით რა ნაირ სტკბება იმისი გული და სული?—„დედა-კაცო, ეტყვის ცოლს, ღვთის მადლით ცოტა სული მოვიდგით წელს. ი მამა ოხერ ურიებს ნუ ამოაცლევინებ გოგროხაებს, პატარა თვალით დავინახოთ რამე. ერთი უღელი ზაქი ეგებ ვიყიდო და სამემრისოთ თუ ერთი სამიოდ დღისაც წაემემატა ნახნავი, გავმეთდი კაცი! ემა გოგოს ვალსაც მოვიშორებ, მიუგდებ ვისმეს."—ხედავს, მიდის კვერთხით მღვდელი თავის განუშორებელის ჩრდილით—დიაკვნით, რომელსაც ტომარა და ჩანახი ჰკიდია მხარზედ: „ნინიკო, შვილო, აბა პირველი მოვალეობა გაწევს, რომ შენი მამა-მომღვარი გაისტუმრო პირნათლად". მღვდელი და თან და თან დიაკვანიც წაუჩინჩხალებს, ორ კოდს ფეხს დააჭერს. გლეხი შესთხოვს: შენს მადლს ნუ ინებებთ მაგას, კოდს დამჯერდი და სხვაფრივ მიმსახურე. თავდება საქმე კოდნასხევარზე. „ერთი ორი ჩანახი დამიკელ, შენი შვილების სადღეგრძელოთ."—რათა შვილო, ჩემო სულიერო შვილო, სახლი არ გამინათლავს, წირვა-ლოცვა დამიკლია, დროზედ არ ამისრულებია, რაც გითხოვნია?" რა მამა-შვილობაა, მკითხველო, მერე ისაც სულიერი! რა სიყვარული უნდა იყოს ამათში!?. და აგი არც არის. ღმერთმანი, გლეხს ეტყვის, შვილო, აბა რა გაჭირვებს გადგია, რომ გიჩვენო გზა თავის დახსნისა! ღმერთმანი, ქადაგებით მოსდის ძალა, რომელშიაც სხვა და სხვა სასარგებლო აზრს გამოუთქვამს გლეხს მისის სულის და გულის განათლებისთვის! ვერ იპოვნით გლეხს, რომ იცოდეს დაწვრილებით თუ რისთვის მიდის ეკკლესიაში. გაუგონია სადმე იმას ერთად-ერთიც არის შესანიშნავი სიტყვა თავისის მაცხოვრისა?! განა გაუგონია როდისმე და ვისგანმე ეკკლესიაში სიტყვა თვისის ზნეობის უხეირობაზედ და მის განკარგებაზედ?!...ღვდელს რომ ჰკითხოთ ყველა ესენი რა საჭიროა, რად უნდა, სად უწერია. გარეგანი მხარე კი შეასრულონ სარწმუნოების და რაც თავი და თავია „იმათ ფეხებზედ ჰკიდიათ". ოღონდ ამათ ტაბლა აკურთხონ, ბეჭი ხელსახოცში ჩასდონ, სახლი განათლონ და სხვა ამ გვარი წესები შეასრულონ, სხვას რას დასდევენ. თქვენგან არ მიკვირს, რა სარფა ექნებათ, რომ ქადაგება უთხრან, დაარიგონ, კეთილი გზა უჩვენონ, იმათ საცოდავ შვილებზედ კეთილი გავლენა იქონიონ? რა სასყიდელს მიიღებენ? ჩემი ურგები

ქოთანი ქვას და მეჭამანდი მადლსაო, ამბობენ ესენი. ამათთვის სარფაა რამდენიც გაუნათლებელი იქნება გლეხი, უფრო მოუვლიან, უფრო გამოხვრენ მის ქონებას.

გაისტუმრა ერთი, მოვა მეორე მგელი, თუ გინდ ტურა, მამეცი ღალაო; მუჭს არ დავიკლებ, მუჭს. გაუწყრა ღმერთი და მოაფხანინა კისერი. რათა, ძმაო, რისთვის არ იკლებ, მოდი ჩვენა ვკითხოთ, მკითხველო? გიპასუხებს: ჩემია ჩემი და იმიტომო. სუმრობა ხომ არ არის ამმის მამა-პაპას სისხლი დაუთხევია და ისრე შეუძენია, ე. ი. ამავე გლეხს დაუნთხევია და რადგან მთელი გლეხობა უთავბოლოდ ყოფილა, ერთს მათგანს უსარგებლნია, ხელში უგდია და წურბელად გარდაჰქცევია. ესეც, გსთქვათ, მოიშორა, ჩამოუვლის მსუნაგი ვაჭარი და ძვალ-ტყავზედ გაიყვანს. ქარედ დააფშუტავს წლის მოსავალს და გავა საწყალი გლეხი თხლეზედ და მჭადზედ.

წელს ძრიელ კარგი მოსავალი მოვიდა; რომ იტყვიან ზღვათ გასკდაო, სწორედ ეს არის. უკანასკნელმა გლეხმაკაცმა, რომელმაც ფულის დამღაც არ იცოდა, წელს გაიცნო და ნახა. სული მოადგმევინა თითქოს. გამოვიდნენ ვაჭრები სოფლად, მოხვეტეს ტულაპიდგან მოკიდებული ხორბლამდინ და სულ გამოხიწნეს სოფელი; მანათიანში ორ მანეთს აძლევდნენ. გვიკვირდა ამ გვარი სიუხვე ვაჭრებისა; მაგრამ, ნუ ბრძანებთ, მომეტებულ ნაწილად ყალბ ფულს აპარებდნენ ამ საცოდავებს. ამ დასაქცევ ვაჭრებს, ამ დაუნდობელ სვავებს (როგორიც გინდათ სახელი დაარქვით მაინც და მაინც მაგას სრულს სულის სიქარწყლეს ვერ გამოხატავთ) ნეტა მაცოდინა, თუ რა უდევსთ გულის ალაგას, ქვა თუ ჟანგ გადაკრული ხორცი; გაფხეკდეს ვინმე მანიცა, იქნებ გამოდნეს რამე!.. დიაღ, საცოდავებს შეაპარეს ყალბი ფული და წრევანდელი გულის ხალისი, სიამოვნება, რომელნიც ათს წელიწადში ძლივს ერთხელ გლეხს სტუმრად ეწვევიან ხეირიანის მოსავლის გამო, ჩაუფუშეს, მოუკლეს შიგ ბუდეში.—„გლეხი-კაცი წელს ფულიანია“, იძახიან ეს ბატონები, და ასე სიძვირეა კი ყველაფრისაო. გულ-შემატკივარნო თქვენის ცოლ-შვილისათვის! რატომ თქვენ არასფერს უფასებთ? აბაზიანში რად იღებთ მანეთს მაგ კეთილ-მოღვაწეთაგან? კაი, რა უხეიროები ხართ! მეტისმეტ სიხარბეს ნუ მისდევთ, ბატონებო! თქვენს მარჩენელს სინათლე არ გამოელიოს და ეშვით ქინჯვნა არ თავიწყოთ: ახლა თქვენი რიგიაო.

საკვირველი განსხვავებაა, ჩემო მეგობარო, უდაბნოს ბუნებასა და მცხოვრებთ შორის, არა?—ერთის მხრივ გაფუფუნებული, ფერთებ შესხმული, დახატული, ვეფხვის ტყავსავით აჭრელებული ბუნება; მეორეთი, უფერული, დანაცრებული მდგომარეობა ხალხისა. ბუნების დიადი სანახაობა. ამაყად გადმომყურებელი ზე აღზიდული მთის წვერები თეთრის საბნით მოსილნი, ჰბადავენ რაღაც გამოუთქმელ გრძნობას, რაღაც გამბედაობას, სიმხნეს, სიმამაცეს გრძნობს კაცი თავის გულში, მაგრამ დანახვა ჩვენის გლეხისა იმ დროს, როცა ეს გრძნობები გებადება, გშლის საათის მავთულსავით. ამ ძლიერ ბუნებას, რომ არა რაიმე გავლენა არა აქვს? ერთხელ ჩაუხოქნია საფლობში და რომ ვეღარ წამოუწევია. ძალიან ძლიერი, ძალიან მაგარი ფოლადის ჩაქუჩი თუ არ მოხვდა თავის ულაზათო ცხოვრებისა, მინამ არა იქნება რა.—ეჰ, მაცლას, ჩემო მეგობარო, მოდი ერთი ვიგალობოთ „მაყრულის კილოზედ“ თანხმად პოეტისა; იქნება სიმღერით ვიმოქმედოთ გონებით მძინარა ქართველზედ. ღმერთმანი, მეგობარო, კარგი წამალი მოვიგონე, აი! სიმღერა უყვარს ჩვენ ქართველს; ვუმღეროთ, ვუმღეროთ:

„რითია გლეხის სვე უბედური!
მას ხელთ უპყრია ღვინო და პური....
იმის ოფლითა ქვეყანა ირწყვის,
მის შრომით ველნი იმოსებიან;
რომ ის არ იყოს ქვეყანამ იცის
უქმნი შიმშილით ამოსწყდებიან....“

წაკოლა—ც.

ჩვენ მოგვივიდა ამის ქვემოდ დაბეჭდილი წერილი უფ. ყორღანოვისა, შემდეგის წინასიტყვაობით:

უფ. რედაქტორო! თქვენს პატივ-ცემულს „ივერიის“ ჟურნალის მე 37 №-ში წავიკითხე „ივერიის“ კორრესპონდენციები, სადაც სხვათაშორის ჩემზედაც ეწერა მრავალი სიცრუე, ამისათვის ჩემის სიმართლის აღსადგენათ უმორჩილესათ გთხოვთ ამასთანავე გამოგზავნილი ჩემი პასუხიც დაბეჭდოთ თქვენს ჟურნალში „ივერიაში“ და მით კმაყოფილი მყოთ.

## უფალო „მუროს“ ავტორო!

ერთი მითხარი ჩემო მართლადაც მუროვ, რამ მოგაგონა იმისთანა სიცრუე, რომელიც დაგიწერია შენ ჩემზედ „ივერიის“ ჟურნალის მე 37 №-ში.

როდესაც აჭარლები დაეცნენ ს. უდეს მცხოვრებთ, მაშინ როდის იყო იქ მილიცია იმათ დასაცველად დაყენებული? ან ყაზახები როდის მოეშველნენ, ან დედაკაცები და ბავშვები ეკკლესიას როდის შეეხიზნენ, ან მილიციონერები ჭურებში როდის დაიმალნენ, სადაც კატებიც ვერ დაიმალებიან, ან მე ორმოში როდის ჩავვარდი, ან იქიდგან თოკით როდის ამომიყვანეს, ან ვინ ამომიყვანდა, როდესაც მთელ სოფელში მილიციონერების გარდა ერთი კაცი არ დარჩა შინ, სულ ხევებში და ბაღებში გაცვივდნენ ცოლ-შვილით და ყველა ოხრათ დაჰყარეს? მაშ საიდამ მოიგონე, უფალო, ამოდენა სიცრუე? შენ როგორც გეტყობა სიყმაწვილითვე ყოფილხარ შეჩვეული მაგ სიცრუეს და გვამში ისრე გაგჯდომია, რომ საზრდოთ გარდაქცევია, თორემ რატომ როგორც იყო იმას არა სწერ.

როდესაც აჭარლები დაეცნენ ს. უდეს მცხოვრებთ ეს ხომ ყველამ იცის, რომ მე ჩემის თანაშემწით და თორმეტის მილიციონერით შემთხვევით შევესწარით იქა, და თუმცა მართალია ხმალ და ხმალაც არ გადავრეულვართ, რადგანაც ეს დიდი სისულელე იქმნებოდა ჩემის მხრით პირ-და-პირ შევრბოდი სამას კაცს თორმეტის კაცით, მაგრამ კი არც დავმალულვარ. ამას დაამტკიცებენ როგორათაც უდელები აგრეთვე იქაური მოლლა, რომელიც აჭარლებს დაეჭირათ და მალას ატანდნენ რათა მღვდლისა და მდიდარი კაცების სახლებზედ მისძღოლოდა, თუ ჩვენც დავიმალეთ, ვიღა დაუდგა იმათ წინ და რატომ არ აიკლეს მთელი სოფელი? ეს ხომ ცხადია, რომ იმათ ოთხი თუ ექვსი ხარის მეტი არა წაუსხავთ რა, მაშ ვინ იყო მიზეზი, რომ ასე ცოტა ნადავლს დასჯერდნენ? დარწმუნებული ბრძანდებოდეთ თქვენს ცრუ პენტელობას არ დაუფრთხია ისინი.

თუ გნებავთ სწორეთ შეიტყოთ მე ჩემის მილიციონერებით როგორი სარგებლობა მოუტანე უდელებს, აი მოგახსენებ: როდესაც აჭარლები ეკკლესიასთან შეგროვილები წამოვიდნენ თოფების სროლით სახლებისაკენ, ჩვენ სახლის კედლებს ამოფარებულებმა ერთბაშად თოფები დავასხალეთ და ეს სროლა ზედი-ზედ ისრეთის სისწრაფით რამდენჯერმე განვიმეორეთ, რომ ისინი შესდგნენ, მოლლას ჰკითხეს ესენი ვინ არიანო და, როცა მოლლამ უთხრა რომ მილიცია მოვიდაო, შეშინდნენ და გაიქცნენ, უთუოთ ბევრნი ვეგონეთ თორემ არ გაიქცეოდნენ, მაგრამ ხომ გავაქციეთ და სხვა რა გნებას ჩემო სიცრუის გუდავ? რაიცა შეეხება იმას, რომ ბრძანებ ვინ განიერ შალვარა და დიდ-მუცელა სომეხი და ვინ ასის თაობაო, ამაზედ მე მოგახსენებ, რომ შენ ჩემი შთამამავლობა არა გცოდნია თორემ, რომ გკითხა ვისთვისმე უთუოთ გაიგებდი, რომ ყორღანაშვილები არამც თუ ასის თავად ათასის თავათაც ბევრჯერ ყოფილან, როგორც ჩვენის საქართველოს მეფეების დროს, აგრეთვე ახლაც და იმათი ვაჟ-კაცობა არსად არა მრასულა. ან რათა გგონია, რომ შალვარსა და სარწმუნოებას გავლენა ჰქონდეს რამე გულადობაზე, სომხები განა გულადები და ვაჟ-კაცები არ არიან? ერთი მიიხედე თუ ბრმა არა ბრძანდები, ჩვენი აზიის ბრძოლის ველზედ ჯარის სარდლები ვინ არიან? თორემ მე ხომ ჩემდა საუბედუროთ სარწმუნოების მეტი სომხისა არა გამაჩნია რა. მე საქართველოს შვილი ვარ, ყველამ იცის ვაჟკაცობაში ჩვენი წინაპარი არავის ჩამორჩენია, თუ წინ არ ყოფილა, და ერთი ბრძანე როგორი შალვრები ეცოთ ხოლმე იმათ? ეს მაინც როგორ არ გაგიგონია მეფე ერეკლეს რომ მოახსენეს სამი დღეა ერთი მკვდარი კაცი გდია ერთს ადგილს და ნადირს არ შეუჭამიაო, მეფემ თურმე ბრძანა უთუოთ ყორღანაშვილი იქნებაო და შეშინებიათო. მართლა ნახეს და ყორღანაშვილი კი გამოდგა. თუ ამაებს არ დამჯერდები, ჩემო მუროვ, და კიდევ ყეფას არ დაიშლი მე კიდევ სხვა საბუთებიცა მაქვს კანონიერი, რო-

მგლნიც ჩემს ვაჟ-კაცობას დაგიმტკიცებენ. თუ გინდა მიბძანდი ახალციხის მაზრის უპრავლენიაში, რომლის ძველ საქმეებში იპოვნი თუ რამდენი და ან ვინ გავარდნილი ავაზაკი გამითოკავს და წარმიდგენია მთავრობაში, როდესაც მე მდივან-ბეგად ვიყავი, მაგრამ შენ რათ გინდა საბუთები, განა განმხოლოებული სიცრუე სიმართლეს მიეკარება? შენ ისეთი ზედ-გამოჭრილი სახელი მიგითვისებია, რომ იმ ერთი ანდაზისა არ იყოს არა დირს რომ კაცმა იწყინოს რამე, მაშ ესლა დამშთენია შემდეგის ანდაზით გავათავო შენთან ბაასი: ერთს საქართველოს მოხუცს თავადს ერთი ვაჟი თურმე ჰყავდა, რომელმანც შეირთო ცოლათ ევროპიულათ გაზდილი ქალი ევროპიულათვე ჩაცმული, ამ ქალს დედამთილიცა ჰყავდა და მულიცა ქართულათ გაზდილები, მაგრამ ამათ სრულებით ყურს არ უგდებდა, ის თავისებურათ თამამათ და თავისუფლათ იქცეოდა. ბევრს უშლიდნენ, მაგრამ არავის რას უგონებდა. ერთხელ მოხუცებულს მამამთილს შეშჩივლეს და სთხოვეს დაუშალეთ და დაარიგეთ თორემ მეტად ცუდათ იქცევაო. ამ მოხუცებულმა პასუხათ უთხრა: ჩვენმა მეფეებმა იცოდნენ დედა-კაცი რომ დაა-შავებდაო ლეჩაქს მოხდიდნენ და პერანგის ამხანაგს გახდიდნენო და ამით შეარცხვენდნენო, მაგას არც ერთი არა აქვსო და აბა რა ვულაპარაკოვო.

ასის თავი გაბრიელ ყორღანოვი.

24 ოკტომბრისთვეს 1877 წ.
ახალციხით.

---

# წერილები

„ივერიის“ რედაქციას.

პატივი მაქვს განუცხადო პატივცემულ „ივერიის“ რედაქციას, რომ მე დიდის სიხარულით ვინატრი ვირიცხებოდე წევრათ (ხუთი მანეთი წლის ფულით წელიწადში) იმა საზოგადოებისა, რომელიც სდგება ჩვენში გიორგი რ. ერისთავის მეცადინეობით და რომელსაც თვის მიზნათ ექმნება ხელი შეუწყოს ჩვენის ქვეყნის ღარიბ ხალხს და ნამეტნავად ღარიბ თავად-აზნაურებს, რომ ამ უკანასკნელებმა თავიანთ შვილებს რიგიანის სწავლისა და განათლების გზა მისცენ დაბალ თუ მაღალ სასწავლებლებში.

ღმერთმან ხელი მოგვიმართოს!

კახის მასწავლებელი ი. პ. როსტომაშვილი

18 ნოემბერს 1877 წ.

---

№ 37 თქვენის გაზეთისა იყო გამოცხადებული დაარსება საზოგადოებისა შესაწევნელად მოსწავლეებისა და გასავრცელებლად სწავლისა. ვითარცა თანამგრძნობნი ამ საზოგადოებისა გთხოვთ ჩაგვრიცხოთ ჩვენ მწევრად:

პოლკოვნიკი ალექსანდრე ივანესძე მუსხელაშვილი,
ანნა ბესარიონის ასული მუსხელაშვილისა და
ელენე ქრისტეფორეს ასული მუსხელაშვილისა.

— ამასთანავე წერილი მოგვივიდა ქვემოხსენებულთაგან და წევრად ითხოვენ ჩაწერას:

ნინა სოლომონის ასული ანდრონიკაშვილისა,
ელენე ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ასული,
დავით კონსტანტინეს მე ჩოლაყაშვილი
ბაბო კონსტანტინეს ასული ჩოლაყაშვილისა.
სოლომონ ასლანოვი.

---

# განცხადება

ტფილისში, ყველა წიგნის მაღაზიებში ისყიდება:

**გოგია მეჩაგურე**, მოთხრობა აკაკი წერეთლისა. ფასი ერთი შაური.

ისყიდება ქალაქს, ვართანოვის და გრიქუროვის წიგნის მაღაზიებსა და „ივერიის“ რედაქციაში

ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

გორს, ფარნაოზ ნათიევისას.

ახალციხეს, ალექსეევ-მესხიევისას (მიროვოპოსრედნიკი)

**ლექსნი** თქმულნი **თ. ნ. ბარათაშვილისაგან** ფასი . . . . . . . . . . , . 20 კ

**მეფე ლირი**, ტრაგედია **შექსპირისა** ფასი 60 კ

---

Дозволено цензурою. Тифлисъ, 7 Декабря 1877 г. Типографія Е. Хеладзе. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.